ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 108

ქ. თბილისი

19 სექტემბერი 2016 წელი

შემსყიდველი: საჯარო სამართლის იურიდიული პირი - კიბერუსაფრთხოების ბიურო (შემდგომში "შემსყიდველი"), დირექტორის მოადგილის გიორგი ბესტავაშვილის სახით, მისამართი: ქ. თბილისი, ც. დადიანის №30. ს/კ 200280622;

მიმწოდებელი: შპს ,,ვესტა"-ის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელის ვახტანგი გასიტაშვილის სახით, მისამართი: ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. №11, ბ.7; ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი, ვანის ქ. №4. საიდენტიფიკაციო კოდი: 202159788, საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი", ბანკის კოდი BAGAGE22, ანგარიშის ნომერი GE03BG0000000123845700.

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ,,ს[1]" და ქ" ქვეპუნქტების შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით, სასაჩუქრე 100 ერთეული ბრენდირებული კალმის (CPV18530000) შესყიდვა დანართი №1-ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **3035.00** (სამი ათას ოცდათხუთმეტი ლარი და ნული თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიღებული საქონლის შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე ან/და სასაქონლო ანგარიშ-ფაქტურისა და მიღება ჩაბარების აქტის საფუძველზე.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის ან/და სასაქონლო ზედნადების გამოწერიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

4. მომსახურების მიღების ადგილი და ვადა

4.1. საქონლის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, ც.დადიანის ქ. №30. მე-3 სართული

4.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 14 კალენდარული დღის ვადაში.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს მომსახურება იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 4.2 პუნქტში.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი და მიღება ჩაბარების წესი

6.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიუროს საფინანსო და სახელმწიფო შესყიდვების ლოგისტიკის განყოფილების უფროსი, რომელსაც შეუძლია ინსპექტირება განახორციელოს ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე და წარმოადგენს საკონტაქტო პირს.

6.2. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ფორმდება მიღება–ჩაბარების აქტით, სათანადო სასაქონლო ზედნადების თანდართვით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

0. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2016 წლის 15 ნოემბრის ჩათვლით

12. დასკვნითი დებულებები

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან“, ერთი „შემსყიდველთან“.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ კიბერუსაფრთხოების ბიურო	შპს „ვესტა“
დირექტორის მოადგილე	დირექტორი მ/შ
გიორგი ბესტავაშვილი	ვახტანგი გასიტაშვილი

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 103

ქ. თბილისი

19 სექტემბერი 2016 წელი

დანართი №1

№	ზომის ერთეული	რაოდენობა	დასახელება	ღირებულება (დღგ-ს ჩათვლით)
1	ცალი	50	მეტალის კალამი (Touch) 7068 Metallic Jumbo Refill	1350.00
2	ცალი	25	მეტალის კალამი (antonio miro) 7163	885.00
3	ცალი	25	მეტალის კალამი (antonio miro) 7166	800.00
				3035.00

შემსყიდველი:

სსიპ კიბერუსაფრთხოების ბიურო

დირექტორის მოადგილე

გიორგი ბესტავაშვილი

მიმწოდებელი:

შპს. ,,ვესტა"

დირექტორი მ/შ

ვახტანგი გასიტაშვილი

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. თბილისი

19 სექტემბერი 2016 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიუროს მიერ წარმომადგენლობითი ხარჯით გათვალისწინებული 100 (ასი) ერთეული ბრენდირებული კალმის (CPV18530000) გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაში (ხელშეკრულების დადების თარიღი №108 19.09.2016წ) მისი მონაწილეობა შპს „ვესტა“-სთან არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიუროს:

დირექტორის მოადგილე — გიორგი ბესტავაშვილი

სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი — ნათია მელელაშვილი

19.09.16

საფინანსო და სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი — რევაზ ჩხარტიშვილი

საფინანსო და სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსის მ/შ — ნათია მუკბანიანი